

ვიქტორ ჰიუგოს ერთი ლექსის თარგმანის შესახებ

About the translation of a poem by Victor Hugo

ვიქტორ ჰიუგოს (იუგო) ლექსების კრებული – *ჰვრეტანი (Les Contemptions)*, 1856 წელს გამოიცა. კრებული შედგება პოეტის მიერ 1830-დან 1855 წლამდე შექმნილი 158 ლექსისგან. ლექსები ექვს წიგნშია თავმოყრილი და, შინაარსობრივად, ორ ნაწილადაა დაყოფილი: *ადრე / ახლა (Autrefois / Aujourd'hui)*. ლექსი *ხვალ, მზის ამოსვლისთანავე*¹ (*Demain, dès l'aube...*) კრებულის მეოთხე წიგნის – *Pauca meae (რამდენიმე ლექსი ჩემს ქალიშვილს)*, რიგით მეოთხმეტე ლექსია და 1843 წლით თარიღდება.

ფრანგული ლირიკული პოეზიის საგანძურში შესული ეს სამსტროფიანი ლექსი ვიქტორ ჰიუგომ მის უფროს ქალიშვილს, ცხრამეტი წლის ლეოპოლდინს მიუძღვნა, რომელიც მეუღლესთან, შარლ ვაკერისთან და ამ უკანასკნელის ნათესავებთან ერთად სენში, ნავით სეირნობისას დაიხრჩო. ჰიუგო ესპანეთიდან ბრუნდებოდა და შემზარავი ამბავი ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში, რომფორის კაფეში, გაზეთიდან შეიტყო. ფრანგი მწერლის ბიოგრაფები წერენ, რომ გახმაურებული *პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის* ავტორს ამ ტრაგედიის შემდეგ შვიდი წელი არაფერი დაუწერია. ლექსი – *ხვალ, მზის ამოსვლისთანავე...*, ჰიუგოს წარსულსა და მომავალს შორის გამყოფად იქცა.

თარგმნის პროცესი ტექსტის პოეტიკის, ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტების გააზრებას, ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობას, დედააზრის სიზუსტით გადმოტანას, კონკრეტული სიტყვების და გამონათქვამებისგან აბსტრაგირებას და შემდეგ, სამიზნე ენაზე ახალი ტექსტის შექმნას გულისხმობს. წარმოდგენილი თარგმანი ჰიუგოს ლექსის ჩემული ინტერპრეტაციის მცდელობაა.²

Demain, dès l'aube, à l'heure où blanchit la campagne,	1	როს არემარე დაილანდება,
Je partirai. Vois-tu, je sais que tu m'attends.	2	გზას შევუყვები. ვიცი, რომ მელი.
J'irai par la forêt, j'irai par la montagne.	3	მთა-ტევრი შორით დაიკარგება.
Je ne puis demeurer loin de toi plus longtemps.	4	უშენოდ დიდხანს ველარ გავმედი.
Je marcherai les yeux fixés sur mes pensées,	5	გავყვები ფიქრებს ხატებად ქვეულს.

¹ ლექსის და კრებულის სათაურები ჩემს მიერაა თარგმნილი. (ნ ქავთარაძე)

² ვიქტორ ჰიუგოს ლექსის და თარგმანის შედარების უკეთ წარმოსაჩენად, ისინი ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული; მოყვანილი ციტატების მარტივად მოსაძიებლად, თითოეული სტიქონი დანომრილია და ბწკარედების სახით ერთვის ციტატებს. ციტატებში, დაზუსტების მიზნით გამოყოფილია ენობრივი ერთეულები. (ნ. ქავთარაძე)

Sans rien voir au dehors, sans entendre aucun bruit,	6	არც მესმის რამე, ვერც ვხედავ რამეს,
Seul, inconnu, le dos courbé, les mains croisées,	7	ხელმართოს, მოხრილს, მართოსულს, ეულს,
Triste, et le jour pour moi sera comme la nuit.	8	დღის შუქი მექცა უმზეო ღამედ.
Je ne regarderai ni l'or du soir qui tombe,	9	არც მწუხრის ოქრო მომტაცებს მზერას
Ni les voiles au loin descendant vers Harfleur,	10	და არც არფლორთან აფრები გუნდად.
Et quand j'arriverai, je mettrai sur ta tombe	11	მოვალ, საფლავზე ჰედერს დავაწყობ
Un bouquet de houx vert et de bruyère en fleur.	12	და ჭყორის რტოებს, ვით იაგუნდად.

პირველ რიგში, ყურადსაღები ლექსთწყობის ერთგულების საკითხია. ჰიუგოს ლირიკული შედევი თორმეტმარცვლიანი ალექსანდრიულითაა დაწერილი და პოეტური გზავნილი თორმეტ სტიქონზე ნაწილდება. ლექსის ქართული ვერსია რვამარცვლიანია, ნაწილობრივ პირის ნაცვალსახელების ამოკლების ხარჯზე. ფრანგულ ტექსტში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელება გამოყენებული. ჰიუგოს ლექსის თარგმანში არც ერთი პირის ნაცვალსახელი გამოყენებული არაა, რადგან ქართულ ენაში პირის ნაცვალსახელების გამოყენება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ჰიუგოს მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი ლექსად დაწერილი ერთგვარი გზავნილია, რომელსაც ჰყვას თავისი გამგზავნი – *je / მე* (ნარატორი, მთხრობელი) და მიმღები – *tu / შენ* (ნარატერი). თხრობითი ინსტანციები როგორც სუბიექტის სახითაა წარმოდგენილი (*მე გავემგზავრები / გზას შევუყვები; tu m'attens / შენ მლოდები / მელი ...*)³, ასევე კუთვნილებითი ზედსართავის სახით: *sur ta tombe / შენს საფლავზე* (11). ქართულ თარგმანში არც სუბიექტის, არც ობიექტის გამომხატველი ნაცვალსახელები და არც კუთვნილებითი ნაცვალსახელია არაა გამოყენებული. პირველ შემთხვევაში (ნაცვალსახელების გამოყენება – დაზუსტება) მხოლოდ მართვცვალთა რაოდენობაში აისახა: თორმეტმარცვლიანი ტექსტი რვამარცვლიანად ითარგმნა, რაც ხელს არ უშლის ტექსტის აღქმას. კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება კი, შესაძლოა აუცილებელიც ყოფილიყო, რადგან გაცხადდებოდა პროტაგონისტის მგზავრობის მიზეზი. ქართულ თარგმანში ნარატერის ინსტანცია დაკარგულია, რადგან ნახსენებია მხოლოდ *საფლავი*. კონექსტიდან გასაგები ხდება, რომ ავტორი მივა იმ ალაგს, სადაც მას ელიან და ეს ადგილი საფლავია: *მოვალ, საფლავზე ჰედერს დავაწყობ...[...]* (11). სიტყვის – *დავაწყობ* სიტყვით – *დაგიწყობ* ჩანაცვლება დააკონკრეტებდა ადრესატს და მის ადგილსამყოფელს. ანალიზის საფუძველზე სიტყვის შეცვლა შესაძლებელია, რაც დიდად არ დააზიანებს არც თარგმანის ვერსიფიკაციას და არც კეთილმოვანებაზე იქონიებს გავლენას. ცვლილება სიმდაფრეს შემატებდა ამ კორექტულ ნაწყვეტს, მკვეთრ და ძალუმ აკორდად გაიჟღერდებოდა ლექსის ბოლოს და

³ ციტატებში. ჯერ ფრანგულიდან თარგმნილი ბჭკარედული ფორმა და მისი შესაძლო ვარიანტებია მოყვანილი, შემდეგ – თარგმანში შესული ვარიანტი. (ნ. ქავთარაძე)

თარგმანს ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოვებდა. მუშაობის პროცესში ეს ვერსია განიხილებოდა, თუმცა არჩევანი სიტყვაზე – *დავაწყობ*, შეჩერდა, რომელიც, ვფიქრობ, უკეთ ჟღერს ქართულად თარგმნილ სტიქონში: სიტყვა – *დავაწყობ*, თითქოს, მწარე რეალობისა და ზედმეტი კონკრეტულობისგან „იცავს“ მკითხველს და კვლავ პოეტურ სამყაროში აბრუნებს მას. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჰიუგოს ამ ლექსში განზოგადებიდან პირადულისკენ, პოეტური სამყაროდან რეალურ სამყაროსკენ, ზოგადიდან კონკრეტულისკენ სწრაფვა ხილული და უდავოა, რაც პირველი სტროფიდან იწყება და სრულდება მესამე სტროფში. ეს მისწრაფება, ნდომა სვლაა და ემსგავსება გზას, რომელსაც ლექსის პროტაგონისტი გამიზნულად, მხოლოდ ერთი მიმართულებით გაივლის და ამ, ერთი შეხედვით, ბუნებასთან ერთიანობის სურვილს მომლოცველობად აქცევს. შესაბამისად, ორიგინალში პროტაგონისტის სწრაფვის მიზანმიმართულობას მხოლოდ ერთი სიტყვის – *დავაწყობ*, გამოყენება ცვლის.

რვამარცვლიანობის კიდევ ერთ განმსაზღვრელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის წინადადება, რომელიც უარყოფითი ნაწილაკების რიტმულ გამეორებას მოიცავს და, სხვა მხნებისგან განსხვავებით, საწყის ფორმაშია გამოყენებული: *Sans rien voir au dehors, sans entendre aucun bruit / არც მესმის რამე, ვერც ვხედავ რამეს* (6). ტექსტზე მუშაობის დასაწყისშივე სტრიქონი ქართულად სწორედ ამ სახით ითარგმნა, რამაც რვამარცვლიანობაც განაპირობა.

პირველი სუბიექტური პირის ნაცვალსახელებით პირველი სტროფია დატვირთული (*Je partirai / გავემზგავრები / გზას შევუყვები* (2), *je sais / ვიცი* (2), *J'irai par la forêt / გავილი ტყეს, j'irai par la montagne / გადავივლი მთას / მთა -ტვერი შორით დაიკარგება* (3). სუბიექტური პირის პირველი პირი მეორე სტროფის დასაწყისშიც ჩანს (*Je marcherai / გავივლი* (5)) და მესამე სტროფის პირველ სტრიქონშიც (*Je ne regarderai / არ შევხედავ / ვერც მწუხრის ოქრო მომტაცებს მზერას* (9)), და იმავე სტროფის მეორე სტრიქონში (*je mettrai / დავდებ / დავაწყობ* (11)). პირველ სტროფში ზმნები გამოხატავს სვლის სურვილს, წინაღობების გადალახვის ჟინს და მზაობას; მეორე და მესამე სტროფებში ზმნები და თანდართული პირის ნაცვალსახელები გამოხატავს სრულ იზოლაციას გარე სამყაროსთან (*Sans rien voir au dehors, sans entendre aucun bruit / არც მესმის რამე, ვერც ვხედავ რამეს* (6)), საკუთარ თავში ჩაკეტილობას, რაც სრულდება რეალობაში დაბრუნებით: პროტაგონისტი საფლავზე დებს თაიგულს. დასაწყისში მკითხველისთვის უცნობია ვის მიმართავს პროტაგონისტი. ცოცხლათა შორის რომ არაა იგი, მხოლოდ ლექსის ბოლოში ცხადდება.

თარგმნისას გასათვალისწინებელი იყო არა მარტო პირის თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელების განლაგება-გადანაწილება, არამედ გრამატიკულ დროთა მონაცვლეობაც. ვიქტორ ჰიუგოს ლექსში ასახული მოგზაურობის სუბიექტური ხასიათი აძლიარებს ლირიზმს, რომელიც რომანტიზმის ჭრილში პირადი განცდების განზოგადებას იწვევს. დროსა და სივრცეში რეალური თუ წარმოსახვითი მოგზაურობის რიგრიგობა გრამატიკული დროების (აწმყო / მომავალი) შენაცვლებით გამოიხატება.

ქართულ თარგმანში თითქმის დაცულია დროთა ცვალებადობა: ფრანგულ ტექსტში ზმნა რვაჯერაა მომავალ დროში გამოყენებული: ქართულ ვერსიაში – შვიდჯერ; ოთხჯერაა ზმნა აწმყო დროში ფრანგულსა თუ ქართულ ტექსტებში, თუმცა ფრანგულ ტექსტში მხოლოდ პირველ სტროფში გამოყენებული აწმყო დრო, თარგმანში პირველ ორ სტროფზე გადანაწილდა, რაც არსებულს რეალობას, პროტაგონისტის სევდას და წუხილს გამოხატავს. ჰიუგოს ლექსში დარდზე და განცდებზე გამარჯვებად ბოლო სტროფში მხოლოდ მომავალი დროის გამოყენება შეიძლება მივიჩნიოთ. ქართულ ტექსტს წარსული დროც დაემატა, რომელმაც პირველ და მეორე სტროფში აწმყო დრო ჩაანაცვლა.

- ზმნები, რომელიც მომავალ დროშია და თარგმანშიც ასევე გადავიდა: *Je partirai / გავემგზავრები / გზას შევუყვები* (2), *J'irai par la forêt, j'irai par la montagne / გავივლი ტყეს, გადავივლი მთას / მთა-ტევერი შორით დაიკარგება* (3), *Je marcherai / ვივლი / გავყვები* (5), *Je ne regarderai / არ შევხედავ / არც [...] მომტაცებს მზერას* (9), *j'arriverai / მოვალ / მოვალ* (11), *je mettrai / დავდებ / დავაწყობ* (11)
- ზმნები, რომელიც აწმყო დროშია და თარგმანშიც აწმყო დროში დარჩა: *je sais que tu m'attends, ვიცი, რომ მელი* (2)
- ზმნები, რომელიც აწმყო დროშია და ქართულად მომავალ დროში ითარგმნა: *Voistu, je sais que tu m'attends* (1) / *ხომ ხედავ, ვიცი, რომ მელი*. სიტყვა – *იკვეთება, ილანდება* (სიტყვა-სიტყვით – *თეთრდება*) შეიცვალა მომავალი დროით და აზრობრივად მიახლოებული მნიშვნელობის მქონე სიტყვით – *დაილანდება*.
- ზმნები, რომელიც ფრანგულ ტექსტში გამოიხატა ზმნის საწყისი ფორმით (*Sans rien voir au dehors, sans entendre aucun bruit / გაარშემო არაფრის შემჩნევა, არაფრის გაგონება*, ნაუღლებია აწმყო დროში: *არც მესმის რამე, ვერც ვხედავ რამეს* (6).
- ზმნები, რომელიც მხოლოდ თარგმანში გამოყენებული წარსული დროით გამოხატა: *უმენოდ დიდხანს ველარ გავძელი* / *Je ne puis demeurer loin de toi plus longtemps* (4); *le jour pour moi sera comme la nuit / დღის შუქი მექცა უმზეო ღამედ* (8).

პირველ სტროფში ავტორი გვიხატავს განთიადის სურათს, თუმცა იგი სრულებითაც არაა სტატიკური. პირველივე სტრიქონში გამოყენებული გრამატიკული აწმყო დრო არ ემთხვევა თხრობის მომენტს, რადგან პროტაგონისტის გადაწყვეტილება მეორე დღის განთიადზე განხორციელებას გულისხმობს: (*Demain, dès l'aube, à l'heure où blanchit la campagne / ხვალ, მზის ამოსვლისთანავე, იმ დროს, როცა არე მარე თეთრად დაილანდება / როს არე მარე თეთრად დაილანდება* (1).

პირველი სტროფის პირველი სტრიქონის ენობრივი ერთეულები, სტროფისა, რომელიც ლექსის სათაურადაა გამოყენებული, ქართულ თარგმანში არაა გადმოტანილი. ქართულ ტექსტში პირველი სტრიქონის და საათაურის იგივეობა დარღვეულია ლექსთწყობისთვის აუცილებელი მარცვალათა რაოდენობის შენარჩუნების მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები: *ხვალ*, რაც იმედს და შემართებას გამოხატავს და *მზის ამოსვლა* (შესაძლო ვარიანტები: *განთიადი, გარიჟრაჟი, აისი...*) თარგმანში არ

ფიგურირებს. ჰიუგოს ლექსის პროტაგონისტის მომლოცველობა გარიჟრაჟზე იწყება და საადამოს სრულდება. შესაბამისად, ქართულ თარგმანში იკარგება ეს მნიშვნელოვანი დეტალი. სათაურისთვის სიტყვა – *მზის ამოსვლა* შეირჩა (*ხვალ, მზის ამოსვლისთანავე...*). ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ტექსტში არსებული სიტყვები: *მზის ამოსვლისთანავე*, თარგმანის სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ერთად – *უმზეო ღამე* (8), *მწუხრის ოქრო* (9), ერთიან სურათს ქმნის.

ჰიუგოს ლექსის პოეტური ენის სისადავე ფრანგული ტექსტის თითქმის ყველა ენობრივი ერთეულის გადმოტანის საშუალებას იძლევა; თუმცა, ორიგინალს ამოაკლდა ათი, ქართულ თარგმანს დაემატა ექვსი; შესატყვისი სინონიმებით ან სინონიმური გამონათქვამებით შეიცვალა ოთხი სიტყვა.

ქართულ თარგმანში, ფრანგული ენობრივი ერთეულები სინონიმებით და აზობრივად მიახლოებული ლექსიკური ერთეულებითაა ჩანაცვლებული: *je partirai / გავემგზავრები, გზას შევუყვები* (2); *მთა-ტევრი* მოხდენილ, პოეტურ, ნაირფუძიანი კომპოზიტად გაერთიანდა და ჩანაცვლა ლექსის ერთი სტრიქონი: *J'irai par la forêt, j'irai par la montagne* (2), ფრანგულად ორივე ცეზურაში ერთი და იგივე ზმნაა გამოყენებული – *j'irai / წავალ, გავივლი*, რაც ქართულად მიზანშეწონილი არაა: ვერ ვიტყვით: *გადავივლი ტყეს ან გავივლი მთას*. ფრანგული ტექსტის მესამე სტრიქონი შეიძლება შემდეგნაირად ითარგმნოს: *ტყეს გავივლი, გადავივლი მთას ან ვივლი ტყით, ვივლი მთით*; დასაშვებია, ხატოვანი კომპოზიტის გამოვიყენებაც: *ტყე-ღრეს გავივლი*; თუმცა, ეს უკანასკნელი ვარიანტი ექვს მარცვალს მოითვლის და ტაეპებში ლექსიკური ერთეულების სხვაგვარ გადანაწილებას გამოიწვევდა, რაც თითქმის დაცულია ორიგინალთან მიმართებაში.

სიტყვის – *Soir*, ქართული შესატყვისია *სადამო*. თარგმანში გამოყენებული სიტყვა – *მწუხრი*, შედამების ხანას აღნიშნავს. იგი ასოცირდება მწუხრის ლოცვასთან, რაც კონტექსტუალურად უფრო მომგებიანია, ვიდრე ზოგადი ხასიათის მქონე სიტყვა – *სადამო*. ფრანგულ ტექსტში ცალკე აღებული სიტყვა – *soir / სადამო*, ნაკლებად ხატოვანი და მეტყველია, ვიდრე *couchant*, რაც მზის ჩასვლას გვიხატავს, ან სიტყვა – *crépuscule / შუქი მზის ჩასვლისას*, ან სიტყვა – *vépre / ჰორიზონტის ხაზზე მინავლული მზე*. მეტონიმია – *or du soir / სადამოს ოქრო, ოქროსფერი შემოდამება...* ითარგმნა ოქსიმორონის სახით – *მწუხრის ოქრო*. მესამე სტროფის მეცხრე სტრიქონის მიახლოებული თარგმანია: *არ შევხედავ ოქროს სადამოს(ას), სადამოს ოქროს, რომელიც იღვავა, ჩადის... / Je ne regarderai ni or du soir qui tombe* (9). თარგმანს მოაკლდა სიტყვები: *qui tombe / იღვავა, ჩადის*, რომელიც შეიცვალა სიტყვებით: *მომტაცებს მზერას*. ფრანგულ თუ ქართულ სტროფს ჩამავალი მზის სურათ-ხატი აერთიანებს, შესაბამისად ქართული თარგმანი არსებითად ვერ ცვლის ტროპით წარმოქმნილ ასოციაციურ ჯაჭვს: ჩამავალი მზე, გალადებული მოცურავე აფრიანი ნავები, რომელიც არ ხიბლავს პროტაგონისტს, სიმბოლურად გამოხატავს ამქვეყნიური მშვენიერების უარყოფას და განდეგილობას.

ქართულ თარგმანში არაა შესული შემდეგი ენობრივი ერთეულები:

- პირველ სტროფში: *demain, dès l'aube* / ხვალ, მზის ამოსვლისთანავე (1), *à l'heure* / იმ დროს, იმ ჟამს (1); *vois-tu* / ხომ ხედავ (2) – ამ სინტაქსური წვილის ამოკლებით აზრი არ იცვლება.
- მეორე სტროფში: *dehors* / გარეთ (6), *bruit* / ხმაური, ხმა (6), რაც გარე სამყაროსგან გარიყულობას აკონკრეტებს, მაგრამ თარგმანის აზრს არ ცვლის; ფრანგულ ტექტში სიტყვა – *triste* / სევდიანი, მოწყენილი (8), ეპითეტია, რომელიც წინა, მეშვიდე სტროფში დაწყებულ და ორ ტაეპად გადანაწილებულ გრადაციას ანჟამბემანის სახით აგრძელებს. მისი ამოკლება თვისობრივად არ ცვლის მხატვრული ხერხის გამომსახველობას.
- მესამე სტროფში: *tombe (qui tombe)* / იღვევა, ჩადის (9); ბოლო ტაეპის ბოლო სიტყვის – *en fleur* / აყვავებული (12), გამოყენება თარგმანში უდავოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა: ერთი მხრივ, იგი უკავშირდება მარადმწვანე ჭყორს (12), მეორე მხრივ გამოხატავს პოეტის გრძნობას უდროოდ წასული ქალიშვილის მიმართ.

ქართულ თარგმანს დაემატა სიტყვები: *დაიკარგება* (3), *უმზეო* (8), *გუნდი* (10), *იაგუნდი* (12).

ჰიუგოს ლექსის პოეტიკის უდიდეს მიღწევად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ ლექსის კეთილხმოვანება და ნატიფი ორგანიზაცია ახასიათებს; სწორედ ამიტომ, ორიგინალის ერთგულება „სისადავის“ შენარჩუნებაცაა. ლექსში გამოყენებული სტილისტური ხერხებიდან უარყოფითი ნაწილაკების რიტმული მონაცვლეობა ქართულ თარგმანში დაცულია: *sans rien voir, sans attendre aucun bruit* / არც მესმის რამე, ვერც ვხედავ რამეს(10) ან ორ ტაეპად გადანაწილებული სტილისტური ხერხი: *Je ne regarderai ni l'or du soir qui tombe / Ni les voiles au loin descendant vers Harfleur* / არც მწუხრის ოქრო მომტაცებს მზერას / და არც არფლორთან აფრები გუნდად (9, 10); შედარება – *comme la nuit...[...]* / დღე იქნება ჩემთვის როგორც ღამე (8) შენარჩუნდა მცირედი ცვლილებებით: *დღის შუქი მექცა უმზეო ღამედ*. თარგმანში ჩამატებულ მსაზღვრელს – *უმზეო*, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გამონათქვამში *უმზეო ღამე*, შეიძლება გამოყენებულიყო ნებისმიერი სხვა მსაზღვრელი (*კუნაპეტი, მრუმე, უკუნი...*); თუმცა, სიტყვა – *უმზეო*, უკავშირდება საათაურს – *ხვალ, მზის ამოსვლისთანავე*, და ერთმანეთს უპირისპირებს იმედსა და უიმედობას.

სამწუხაროდ, ქართულ თარგმანში ვერ გადმოვიდა ფრანგული ტექსტის პირველი სტროფის მეორე, მესამე და მეოთხე ტაეპში გამოყენებული ისეთი მხატვრული გამოსახვის ხერხი, როგორცაა ანაფორა ან ალიტერაცია.: *Je partirai...[...]* (2) *J'irai par la forêt...[...]* (3) / *Je ne puis...[...]* (4) / *მე გავემზავრები / მე გავივლი / მე არ შემძლია*.

ლექსის ბოლოს, ოცნებასა და ზმანებას რეალობა ენაცვლება და კონკრეტიკისკენ სწრაფვით გამოიხატება. მესამე სტროფში ნახსენებია ერთი ტოპონიმი – *არფლორი*, და ორი მცენარის სახელწოდება: *ჰედერი* და *ჰყორი*. ნორმანდიის რეგიონის პატარა ქალაქი არფლორი, სავარაუდოდ, რითმის შესაქმნელადაა გამოყენებული (*fleur/ Harfleur*), რადგან ტრაგედიის ადგილმდებარეობას არ წარმოადგენს: ჰუგოს ქალიშვილი დაიღუპა ვილეკიეში, რომელიც საკუთრივ სენზეა. არფლორი მდინარე სენის მარჯვენა შენაკადზე მდებარეობს და ახლოსაა ტრაგედიის ადგილიდან. ნორმანდიის მხარეს არსებობს კიდევ ერთი დასახლება – ჰორფლორი. თუ იმ ვარაუდის ლოგიკას გავყვებით, რომ ტოპონომი გამოყენებულია მხოლოდ კეთილხმოვანებისთვის, ჰუგოს ასეთი დამაჯერებლობით შეეძლო არფლორის ნაცვლად, ორფლორი ეხსენებინა: ორივე დასახლება სენზეა, ორივე ნორმანდიაში, საპორტო ქალაქ ლე ავრთან ახლოს, სადაც ლეოპოლდინ ჰუგო მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. სამწუხაროდ, არფლორის ხსენების მიზეზის დასაბუთებული არგუმენტი ვერ მოვიძიე.

ლიტერატურული ანალიზის შედეგად განუსაზღვრელი ადგილების აქტუალიზაცია, კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია არა მარტო მხატვრული ტექსტის სწორ აღქმას, არამედ თარგმნისას მართებული გადაწყვეტილების მიღებასაც უწყობს ხელს. მაგალითად, ლექსში დასახელებულ ორ მცენარეს – *ჰყორი* და *ჰედერი*, ქართულ კულტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არ გააჩნია, შესაბამისად, ქართველი მკითხველისთვის ამ მცენარეების მოხსენიება ასოციაციათა ჯაჭვს არ წარმოქმნის. ფრანგულ ხალხურ ტრადიციებში კი, ჰყორსაც და ჰედერსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ნეფე-პატარძალს ჰედერისგან დაწნულ გვირგვინებს ჩუქნიდნენ მარადიული სიყვარულის ნიშნად. ჰყორი ნელ-ნელა შემოდის ქართულ საშობაო ტრადიციებში: მის გამოსახულებას ხშირად ვხვდებით საშობაო თუ საახალწლო ატრიბუტებზე (სუფრა, სამშვენისი...). ქრისტიანულ კანონიკურ ტექსტებში ჰყორი არ ფიგურირებს, თუმცა ხალხური გადმოცემით, ეს მცენარე უკავშირდება ბიბლიურ სიუჟეტს: როდესაც წმინდა ოჯახი ჰეროდეს მძევრებს ეგვიპტეში გაურბოდა, ჰყორის მარადმწვანე რტოებს შეაფარა თავი და შეპყრობას ასე გადაურჩა. ფრანგული ხალხური ლეგენდის გავლენით, თარგმანში სიტყვას – *თაიგული*, ჩანაცვებულია სიტყვით – *რტო*: *Un bouquet de houx vert et de bruyère en fleur / და ჰყორის რტოებს, ვით იაგუნდად.* (12)

ქართულ თარგმანში ჰყორიცა და ჰედერიც უცვლელად გადმოვიდა. ჰუგო *მწვანე ჰყორს* ახსენებს და, სავარაუდოდ, მცენარის ე.წ. „მარადმწვანეობას“ უსვამს ხაზს, რომ თავისი გრძნობის, ძვირფასი ადამიანის ხსოვნის და მისი საფლავის მონახულების, მიცემული პირობის სამარადჟამო, გამეორებადი ხასიათი წარმოაჩინოს. თარგმანში ყურადღება გამახვილებულია ჰყორის ნაყოფზე, რომელიც წითელი ფერისაა. ამ თვალსაზრისით, ლექსის ქართულ ვერსიაში შეიცვალა ფერთა პალიტრაც. იმავე სრიქონში დამატებული სიტყვა – *იაგუნდი*, რაც ყოველივე ძვირფასთან ასოცირდება და

ლოგიკურად ებმის ლექსის სათაურში სიტყვას *მზე*, ასევე მეტყველებს ძლიერ გრძნობაზე, რომელიც ლექსის ლირიკულ *მე*-ს მის ნარატერთან აკავშირებს.

ქართულ თარგმანში, სიტყვას – *იაგუნდი*, ორი დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ, იგი ერთმეზა სიტყვას – *გუნდი*, (იგულისხმება აფრების ერთიანობა); მეორე მხრივ, იაგუნდის მწველი ფერი, სიმბოლურად გამოხატავს დიდ სიყვარულს. ზოგადად, ლალის თვალი (იაგუნდი) სიყვარულის და ძალაუფლების სიმბოლოა, როგორც ქართულ ტრადიციაში, ასევე ევროპულშიც. თარგმანში *იაგუნდის* გამოყენებამ, შესაძლოა შეცვალოს რეციპიენტის აღქმა და აფიქრებინოს, რომ საოცარი გრძნობა, რომელიც ამ პოეტური გზავნილითაა გადმოცემული, პროტაგონისტის სატრფოს ეძღვნება. ლალის თვალი სიყვარულის გარდა, სიქველის, სიმამაცის, ღმერთის სიყვარულის სიმბოლოცაა; ქრისტიანულ ტრადიციაში ლალი ღმერთის სისხლის სიმბოლური გამოხატულებაა, ამიტომ იგი ამშვენებს მეფეთა გვირგვინებს. ლალი მოგზაურებს მფარველობს და ამით უკავშირდება ლექსის იდეას. განადგურებული და უნუგემო ჰიუგო ეირუსალიმივითაა და ძვირფასი ქვებით მოპირკეთებულ ნავსაყუდელს ეძიებს.⁴

მრავალი სიმბოლური დატვირთვის მიუხედავად, *იაგუნდი* / *ლალი* სიყვარულთან ასოცირდება. შესაძლოა, ვიქტორ ჰიუგოს უდროოდ გარდაცვლილი ქალიშვილისადმი მიძღვნილ ლექსის თარგმანში მისი გამოყენება არც ისე გამართლებული ყოფილიყო, რომ არა ერთი საინტერესო ფაქტი თავად დიდი ფრანგი მწერლის ცხოვრებიდან. იმედდაკარგული ჰიუგო, სასიცოცხლო **ძალების მოსაკრებად** იმხანად ევროპაში ძალიან პოპულარული სპირიტუზმით დაინტერესდა. ფრანგი მწერლის გატაცება იმდენად დიდი და ხანგრძლივი იყო, რომ სპირიტუალური შეხვედრების უცვლელი მონაწილე და ინიციატორიც კი გახდა; 1853 წლიდან 1855 წლამდე, მწერლის ჯერსიზე გადასახლების დროს, ჰიუგო თავის გამოცდილებას იწერდა. ერთ-ერთი სპირიტუალური შეხვედრის ჩანაწერში, რომელიც მას გარდაცვლილი ქალიშვილი „ესაუბრება“, ვკითხულობთ:

MME DE GIRARDIN. - Qui es-tu ?

- Fille.

AUGUSTE VACQUERIE. - À qui est-ce que je pense ?

- Morte

VICTOR HUGO. - Où es-tu ?

- Lumière.

VICTOR HUGO. - Que faut-il faire pour aller vers toi ?

- Aimer.

მადამ ჟირარდენი: - ვინ ხარ?

- ქალიშვილი.

ოგუსტ ვაკერი: - ვისზე ფიქრობ?

- სიკვდილი.

ვიქტორ ჰიუგო: - სად ხარ?"

- სინათლე.

ვიქტორ ჰიუგო: - როგორ მოვიდე შენამდე?

-სიყვარული.⁵

⁴ „დაჩაგრულო, ქარნაცემო, უნუგემებელო! აჰა, შემოგიშენებ კედლებს ძვირფასი ქვებით და საფუძვლად საფირონს დაგიდებ. ლალის ქონგურებს და ელვარე ქვის კარიბჭეებს გაგიჯეთებ, მთელი გალავანი პატიოსანი ქვებისგან გექნება.” *ესაია წინასწარმეტყველი*, 54:11,12

⁵ ჩანაწერის სტილი დაცულია. (ნ ქავთარამე)

ვიქტორ ჰიუგოსთვის სწორედ სიყვარულის უდიდესი ძალა იქცევა ნუგეზად. ვფიქრობ, სიტყვის – *იაგუნდი*, გამოყენებით მნიშვნელობის ბუნოდოვანება არ უნდა შეიქმნას; და თუ ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის გააზრება თანდართული კომენტარების გარეშე რთულდება, ყოვლისმომცველი სიყვარულის სიმბოლოს – *იაგუნდი*, აღქმა ძალისხმევას არ საჭიროებს.

ლიტერატურა:

ბიბლია (1989). თბილისი: „საქართველოს საპატრიარქო“

ლიტერატურის თეორია (2008). თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“

ჭილაია, ა., ჭილაია ს., (1984). თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

ჰიუგო, ვ. (2006). Hugo, V., *Les Contemplations*, https://www.ebooksgratuits.com/html/hugo_contemplations.html